ეროვნული ბიბლიოთეკა


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

LA GÉORGIE COMBATTANTE

26 მაისი 1998 - 23(41) - 26 Mai 1998


**ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია**

## საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავი


26 მაისი.....3
საიუბილეო კრებული.....6


## სოხუმის დაპყრობის მეხუთე წელი


რუსული კოლონიზაცია ჩვენს აფხაზეთში.....48
დიმიტრი გულია ჩვენი აფხაზეთის შესახებ.....49
ვანდალიზმი აფხაზეთში? - .....50
აფხაზეთი უქართველებოთ და უაფხაზებოთ? - .....53


## ჩვენი საჭირბოროტო საკითხები


ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე.....54
ბილ კლინტონის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი.....55
ვოლფგანგ კოიდლი საქართველოს შესახებ.....56


## პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა


ფეხბურთის მსოფლიოჩემპიონატი საფრანგეთში.....59
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები.....62


## ქართული ლიტერატურა და ხელოვნება


იმედი და რწმენა.....66
მგოსანი.....66
იმედი.....66


## უცხოეთში მყოფი ქართველების ყოფა-ცხოვრება


კოლოკვიუმი პარიზში.....67
ქართული ნოხების გამოფენა საფრანგეთში.....69
დეკანოზ არჩილის ქადაგება.....70
ღია წერილი.....73


## საუკუნო იყოს ხსენება მისი


ლევან ფაღავას გარდაცვალება.....74


**დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამოვდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე**

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი — Fondation: janvier 1952, Paris

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტია" სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის" — მმართველობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს შორის, კონსენსუს-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი, და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის, თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

## საქართველოს კონსტიტუცია
## Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.
მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d ` exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable. pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

## საქართველოს კონსტიტუცია
## Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
## Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დამოუკიდებელი საქართველო

## 80 წლისთავი

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."

„მესამე დასი", *1893* წელი.

## საიუბილეო კრებული

**1918- 26 მაისი -1998**

პარიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება — არჩეული პირდაპირ თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს.

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.



# საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავი

## 26 მ ა ი ს ი

I.

26-მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა, და ამით ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულია. საქართველომ, 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამით გახდა მსოფლიოს სახელმწიფოთა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, რითაც ხორცი შეესხა დიდი ილიას სიტყვებს "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს."

II.

ამდენად, 1918 წლის 26 მაისი თანამედროვე, მოდერნული საქართველოს საფუძვლების ჩაყრის დღეა, რამაც თეორიული და პრაქტიკული გამოსახულება მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც ეყრდნობოდა "მესამედასელთა" 1893 წლის 7 თებერვალს მიღებული სამოქმედო პროგრამის დედაბოძს -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

III.

ამგვარად, 26 მაისი - საერთაშორისო მასშტაბით რომ განვჭვრიტოთ - გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისს მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის ღირსეული მემკვიდრე, რომლითაც შეერთებულმა შტატებმა თავი გაინთავისუფლა ინგლისის კოლონიური მონობისაგან; და, მას ზევით, საფრანგეთის 1989 წლის 14 ივლისის დიდი რევოლუციის საფუძვლის -"თავისუფლება, თანასწორობა, ძმობას" - ღირსეული მემკვიდრეც, რასაც მოყვა შესაბამი გამოძახილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

IV.

მაგრამ 26 მაისი განშორდა ამერიკის 4 ივლისსა და საფრანგეთის 14 ივლისის საზღვრებს, როცა დემოკრატია სოციალური დემოკრატიის ცნებით გააპოხიერა და მის ცხოვრებაში დანერგვას მიჰყო ხელი. ამით 26 მაისს საქართველომ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, რომლის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ, სხვა მრავალთა შორის, ინგლისის პრემიერმინისტრის - რამზეი მაკ-დონალდის სტატიიდან ამონაწერი, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზეთ "ნეიშენ-ში"(ნაცია), 1920 წლის 16 ოქტომბერს, საქართველოში ვიზიტის შემდეგ: "თუ თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, - წერდა მაკ-დონალდი, - თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ესაა ქართველი ერი, რომელმაც აჩვენა კაცობრიობას დიდი კულტურა და პოლიტიკური სიბრძნე. ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება და მე ვისურვებდი ასე მოწყობილ იქნას ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".

V.

26 მაისია აგრეთვე ჩვენი სახელმწიფოს ძალაუფლების, მოსახლეობისა და ტერიტორიის ერთობის თეორიული და პრაქტიკული განხორციელება, თანამედროვე, მოდერნული სახელმწიფოს დემოკრატიულ ასპექტში:

VI.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა, 1918 წლის 26 მაისიდან, გამომდინარეობდა უშუალოდ ხალხისაგან, რომლის დროს ამომრჩეველთა უმრავლესობა გამოიხატებოდა მთავრობაში, ხოლო უმცირესობა ოპოზიციაში, რომლის დროს პოზიცია-ოპოზიცია იღწვოდა ერის კეთილდღეობისათვის, ე.ი. ოპოზიცია მტრად კი არ თვლიდა პოზიციას, არამედ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ, და, დემოკრატიული გზით, ცდილობდა მისი წვლილის შეტანას საერთო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რომლის დროს - ისევ დემოკრატიული გზით - ცდილობდა ხელისუფლების სათავეში მოხვდას. ამდენად, 26 მაისის დიად საქმიანობაში, ოპოზიცია იდგა არა დესტრუქციული, არამედ კონს-

ტრუქციული ოპოზიციის გზაზე, რაც – თავის მხრივ – უშუალო მონაწილეობაა სახელმწიფო ხელისუფლებაში.

VII.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის, ხ ა ლ ხ ი ს

ბირთვი იყო, არის და დარჩა ქართველი ერი, საქართველოში მცხოვრები სხვა ერებისა და ეროვნებების შვილების გვერდით, რომლებიც ძმურად ემსახურებოდნენ საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში კი ნათქვამია:"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა"(მუხლი 5). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლში კი ნათქვამია შემდეგი:

"საქართველოს განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს(სოხუმის ოლქი), სამუსლმანო საქართველოს(ბათომის მხარე) და ზაქათალას(ზაქათალის ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა".

VIII.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტ ე რ ი ტ ო რ ი ა მოიცავდა ისტორიული საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას, და უდრიდა 91.100 კვადრატულ კილომეტრს, რაც ცნობილი იყო საზავო ხელშეკრულებებით თვით საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის რესპუბლიკის მიერაც, ისე როგორც ერთა ლიგის მიერ.

IX.

ძალაუფლების, ხალხისა და ტერიტორიის ამ სამ დედაბოძს ასრულყოფილებდა დემოკრატიული სახელმწიფოს სამი დედაბოძი: ადმინისტრაცია(მთავრობა), კანონმდებლობა(პარლამენტი) და მართლმსაჯულება(სასამართლო), რომელთა არეს განსაზღვრავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ე.ი. ძირითადი კანონი.

X.

კიდევ მეტი: 26 მაისია საქართველოს მონარქიული სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ხანის გადასვლის თარიღი საქართველოს რესპუბლიკურ ხანაში, რომლის შედეგად საქართველოს სახელმწიფოს "პირველი მმართველი" გახდა ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რიგითი მოქალაქე. ამიტომ იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ დემოკრატიულმა და სოციალურმა სახელმწიფომ განცვიფრებაში მოიყვანა იმდროინდელი დასავლეთ-ევროპიული პოლიტიკური მოღვაწეები, რადგან 26 მაისი – საქართველოს რესპუბლიკური ხანის საწყისი თარიღი – გახდა აგრეთვე სოციალური დემოკრატიის საწყისიც.

XI.

მაგრამ რა? – ბოლშევიკურმა რუსეთმა – დაადგა რა მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გზას – 1921 წლის 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად, ხუთი მხრიდან დაესხა თავს დამოუკიდებელ საქართველოს, და მწვავე ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს არაერთი მწარე მარცხი აგემა საქართველოს ახალგაზრდა არმიამ მომხდურ მტერს, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან – ტაბახმელაზე, – რუსეთმა დაიპყრო საქართველო და იგი ისევ რუსეთის განუკითხავი ბატონობის ქვეშ მოაქცია. საქართველომ, ქართველმა ხალხმა დაკარგა არა მარტო დამოუკიდებლობა და სუვერენობა, არამედ აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთი მეოთხედი, რის შედეგად საქართველოს ისტორიული ტერიტორიები დაიტაცეს ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა თვით საბჭოთა რუსეთის ჩათვლით, რომელმაც სოჭი და მისი რეგიონი მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ამგვარი მტაცებლური იმპერიული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს 91.100-ი კვადრატული კილომეტრის ტერიტორია დაყვანილ იქნა 69.700-ს კვადრატულ კილომეტრამდე; და პოსტბოლშევიკური რუსეთი, როგორც ჩანს, დღესაც განაგრძობს ამგვარ მტაცებლურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, როცა – ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით – საქართველოს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩენილ 69.700-ი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიის მიტაცებასაც და-მოზს, როცა ან დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს უფლებამოსილების განვრცობას აფხაზეთსა და შიდა ქართლში წინ ელობება.

XII.

და ეს არის ყველაზე დიდი საჭირბოროტო საკითხი დღეს, 1998 წლის 26 მაისს: მართალია, საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, მართალია საქართველო უკვე არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რაც დიდი, დიდი ისტორიული მოვლენაა, მაგრამ რა? - საქართველოს განუყოფელ ნაწილებიდან - აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან - რუსეთმა, პოსბოლშევიკურმა რუსეთმა, რომელიც თითქოს დემოკრატიული სახელმწიფოა, - ქართველობა აყარა მათ ძირძველ მიწებიდან და აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბით ისევ საქართველოს დაქუცმაცებისაკენ მიილტვის. ამდენად, სამასი-ათასი ლტოლვილი მძიმე ტვირთად აწევს კისერზე საქართველოს, ქართველ ხალხს, რადგან მათ თავთავიანთ სახლ-კარში დაბრუნებას სწორედ რუსეთი, პოსტბოლშევიკური რუსეთი ელობება წინ, რომლის დროს მოხერხებულად იყენებს გარუსებულ ოსებსა და აფხაზებს, რომლებიც საქართველოში ბატონობენ ისე, რომ ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

XIII.

რა თქმა უნდა, საქართველოს დღევანდელ ამგვარ უმწეო მდგომარეობაში მამა აბრამის ბატკნები არ ვართ ჩვენ, ქართველობა: აღვადგინეთ რა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1991 წლის 9 აპრილს, ჯერ ავირჩიეთ საქართველოს პრეზიდენტი; შემდეგ ჩამოვაგდეთ ის; იარაღიც კი გამოვიყენეთ ერთმანეთის წინააღმდეგ; შემდეგ ისევ ავირჩიეთ საქართველოს ახალი პრეზიდენტი, მაგრამ რა? - "სალი აზროვნება" მაინც ვერ დავაფუძნეთ საქართველოში; და დღესაც საქართველოს მოსახლეობის ერთი არც ისე მცირე ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის მხარდაჭერით კი არ არის გამსჭვალული, არამედ - ღიათ თუ ფარულად - მოსკოვის ისევ გადატონებისაკენ უჭირავს თვალი თითქოს საქართველოს, ქართველ ხალხს არ შეეძლოს საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა. ამის შედეგია ის, რომ დღესაც საქართველოში მოიპოვებიან ორჯონიკიძე-შახარაძეების მიმდევრები, რომლებსაც, როგორც ჩანს, "წინ-მენძლები" უფრო აინტერესებთ, ვიდრე საქართველოს, ქართველი ხალხის თავის-უფლება.

XIV.

მაგრამ ჩვენ გვჯერა, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავლესობა, მიუხედავათ საქართველოს დღევანდელი მძიმე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობისა, - 26 მაისს შეტრფის და მზად არის ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ საქართველო განმტკიცდეს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად; და ამას შევძლებთ ჩვენ, მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელეებისა, თუ ჩვენ შევძლებთ ეროვნული ერთობის მიღწევას მრავალფეროვანებაში. ერთობა და მრავალფეროვანება მოწინააღმდეგე ცნებები არ არის, თუ ჩვენ პოზიციისა და კონსტრუქციული ოპოზიციის ფარგლებში დავრჩებით; და ამის მთამაგონებელი გაკვეთილი მოგვცა 1918 წლის 26 მაისის "ოქროს თაობამ", რის შედეგად ჩვენ 1918-1921 წლების პერიოდს "საქართველოს პატარა ოქროს" ხანას ვუწოდებთ.

XV.

მაშ, დიდება 1918 წლის 26 მაისს!.. დიდება დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს!.. დიდება ქართველ ხალხს!.. მრავალჟამიერ!..

---

კარლო ინასარიძე
ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე უცხოეთში
პარიზი, 1998 წლის 26 მაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა „ოქროს ხანა"

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

## 1918-1921

"ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს". ილია ჭავჭავაძე

"ნივთიერი კეთილდღეობა,როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა;თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".
"მესამე დასის" პროგრამა

რამზეი მაკდონალდი,ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც იმოგზაურა დამოუკიდებელ საქართველოში 1920 წელს, სხვათა შორის, წერდა:

"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი,რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".(გაზეთი "ნეიშენ",16.10.1920 წ.).

"ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა,რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან. ამიტომაც ისტორიაში მოქმედ მამა-პაპის ავად ხსენება ყველის მამა-პაპის ავად ხსენებად არის და ამას გლეხი,ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა,ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს, თუ სანდალასავით ღმერთ-გამწყრალი და თავში დაკრული არ იქნება." ი.ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ACT

## of Independense of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied hersell with Russia. with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course, of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rightes of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) the Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with reighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) the democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12 th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 1 2 th of March, 1919, the constituent assembly of Georgia,elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვამა ტრფობასა-სიყვარულს,
ვამა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა
კოტე ფოცხვერაშვილისა

7,
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

## საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წელს, მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ-რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვა თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს: მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;
2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალი სახელმწიფოა;
4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით — კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან;
5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ. მდგომარეობისა და სქესისა;
6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს;
7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

## თავი პირველი

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.
მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

### მუხლი 2.

საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი.

### მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

### მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის შინდისფერი ალამი, შავი და თეთრი ზოლით.
საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

### მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

### მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.
სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითი წესით.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კონსტიტუცია

## მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

საქართველოს მოქალაქენი,

რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,

უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი,

განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა,

ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს,

საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

## თავი პირველი

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

### მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

....................... და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანია

# ჩემი წარსული

(მოგონებანი)

პარიჟი
1953

მე უსამართლობათ მიმაჩნდა ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიების მიღება, მათთვის ყოველივე გასაქანის მოსპობა. კომისიამ გამოიძია, ანკეტა წარმოუდგინა ბიუროს, რომელმაც შეინახა ყუთში სამუდამოთ, არავითარი მსვლელობა არ მიეცა. ამით დასრულდა ეს ინციდენტი. ჯერ არავის მოეთხოვნია საქმის განახლება. ვინაიდან ბოლშევიკების მუშაობამ მიიღო აშკარა ჩვენი ქვეყნის სამტრო ხასიათი, ისინი იღვწებოდენ როგორც მოსკოვ-ოსმალეთის აგენტები და მათთვის ხელის-შემწყობნი. ამ უკანასკნელთ პასუხით „რევოლუციონერებს" დამცველი აღარ აღმოაჩნდათ. ერთი მხრით ოსმალები მოიწევდენ ჩვენი საზღვრებისაკენ და ჩვენ ვაწყობდით თავდაცვის საშუალებებს, მეორე მხრით იმავე დროს ბოლშევიკები შიგნით გვიჯანყებდენ ხალხს და იძულებულ გვხდიდენ ფრონტზე გასაგზავნი ჯარის ნაწილები მათ წინააღმდეგ გაგვეგზავნა და აჯანყებულნი გვემშვიდებინა. ისინი გახდენ ქვეყნის აშკარა

124

მოღალატენი და მით დაიმსახურეს კანონის გარეშე გამოცხადება. ცხინვალი გახდა პირველი მათი შემოტევის საგანი, გაბოლშევიკებულ, გარუსებულ ოსების საშუალებით. ვიცოდით რომ ფ. მახარაძე მოიკალათა ოსთა შორის და ეწევა პროპაგანდას „საქართველოს გაბატონების წინააღმდეგ ოსებზე!" მოითხოვდა ამათ შეერთებას ჩრდილო ოსეთისათვის და სხ. ამავე დროს სამეგრელოს და სუხუმის ოლქის ზოგ სოფლებში აფრიალეს ბოლშევიკური დროშა, აგრეთვე უფრო სერიოზულათ რაჭა-ლეჩხუმში. ყველა ეს იმ დროს, როცა ოსმალეთი მოითხოვდა ბათუმის დასაკუთრებლათ და ჩვენ ვაწყობდით წინააღმდეგობის გაწევას.

ამ ნაირათ, მოხდა დაკავშირება თურქ-ქართველ ბოლშევიკებისა ჩვენი ტერიტორიის წასაგლეჯათ, ჩვენი ხელისუფლების დასამხობათ. მე გავემგზავრე ბათუმში თოფით ხელში, თუმცა არასოდეს თოფი არ მჭერია და არ მისვრია. საჭირო იყო მაგალითის მიცემა. რიონში, სამტრედიაში ბევრნი იყვნენ შეიარაღებული ჩოხოსნები. მიტინგები და კრებები სადგურზე. ბოლშევიკების ლაპარაკს გასავალი არ ჰქონდა. მაგრამ ყველა მათგანი დაფრთხალი იყო. ბათუმს ვერ შევინარჩუნებთ — საერთო აზრი იყო. ყველას აინტერესებდა სწორედ ბათუმი და ამიტომ ეწერებოდენ ჯარში. ბათუმში ჩავედი, მტერი თითქმის სოფლის მანძილზე მოსულიყო. წავედი ფრონტის დასათვალიერებლათ და სწორედ მოვხვდი ქართველ-თურქების შეტევის შუაში, შარა გზაზე. ტყვია აქედან-იქედან ყურებთან მივლიდა. დავბრუნდი უკან, ბათუმისაკენ. ცნობა მივიღე თფილისიდან, რომ გვარდია ცხინვალის რაიონის განთავისუფლების შემდეგ თფილისში ბრუნდებაო. მე კი მინდოდა ბათუმში ჩამოსულიყო და მოხალისეთა ჯარის სათავეში ჩადგომოდა. გავგზავნე საგანგე-

125

ბო მატარებლით, მივუსწარი გამობრუნებულ გვარდიას გორში, გავმართეთ თათბირი, გადავწყვიტეთ სამი დღის დასვენების შემდეგ ბათუმისაკენ გამგზავრება. ეს აღარ შესრულდა, ვინაიდან ბათუმი უკვე დაჭერებული იქნა ოსმალების მიერ. გვარდია მაინც გაემგზავრა სამეგრელო-გურიისაკენ.

ტრაპიზონში გაგზავნილ დელეგაციამ აკ. ჩხენკელის მეთაურობით ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ასრულება იყო ის მინიმუმი, რასაც თურქნი ითხოვდენ, დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთო. ხოლო ამის წინასწარი პირობა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაო. დაისვა ეს საკითხი სეიმში. საჭირო იყო კარგად გაგვეგო ოსმალეთის ამ წინადადების სარჩული, იყო ის ჩვენ სასიკეთოთ თუ სამტროთ. მე ვიფიქრე, რომ აქ რაღაც დამალული ხერხი იმალება და თუ გულგრილათ შევხედავდით მას — გამოცნობა ადვილი იყო. ოსმალეთი აწყობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, რომლის ძალით მას კავკასიაში დაეთმო მხოლოდ სამი პროვინცია, სანამ ჩვენ ვირიცხებოდით რუსეთის ფარგლებში. მანამდე მას არ აქვს უფლება კიდევ რამე მოითხოვოს ჩვენგან. ოსმალოს კი ეს არ აკმაყოფილებდა და ფიქრობდა თავის საბრძანებელის გაფართოებას ამიერ-კავკასიის ხარჯზე. ეს მას შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ ამიერ-კავკასია გამოვიდოდა რუსეთის ფარგლიდან. იქნებოდა დამოუკიდებელი და, მაშასადამე, მხედრულათ ადვილათ გასახდომი. აი ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით სეიმში, როცა ამ საგანზე სიტყვა წარმოვსთქვი (დაბეჭდილია). მე ვამბობდი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ჩინებულია, მაგრამ მისი ცნობა და ცნობა მისი საზღვრების წინასწარი პირობა უნდა იყოს ჩვე-

126

ნსა და ოსმალეთის შორის მოლაპარაკების დროს. მე რასაკვირველია, პირდაპირ ხელი არ დავადევი ოსმალოს, ფრჩხილები არ გავხსენი დიპლომატიური მოსაზრებით, მაგრამ წამოყენებული პირობა ნათლად ხდიდა შინაარს. სამწუხაროთ, ჩემი სიფრთხილე არ გაიზიარა არც ჩემმა ფრაქციამ, არც სეიმმა; თითქმის ყველა თავდაყირა გადაეშვენ დაგებულ ხაფანგში; კენჭის ყრის დროს მე თავი შევიკავე. შედეგს არ დაუყოვნებია, ოსმალო შემოიჭრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბეიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი; გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, თფილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ ამისთვის მიემატებინათ თფილისიც.

ერთი სიტყვით, თავისუფალი ამიერ-კავკასია იურიდიულათ, გახდა ფაქტიურათ ოსმალეთის პროვინცია. ამის შემდეგ გვითვლის ის — ახლა ვილაპარაკოთო! მოსკოვმა ხელი დაიბანა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, გამართლდა დიდ ტრაგიკულ მასშტაბში. ოსმალეთი რომ არ იყო სანდო, ეს ისტორიიდან ვიცოდით, მაგრამ თუ ასე ცინიკურათ დაგვატყუებდა — ეს არავის ეგონა. მეც არ ვიყავი დარწმუნებული, მხოლოდ ეჭვები მქონდა და სიფრთხილეს ვითხოვდი. ასეთ პირობებში გამართული მოლაპარაკება ბათუმში რა იქნებოდა თუ არა ჩვენი კაპიტულაცია. მაგრამ რაც მოხდა იქ — მაინც არ მოველოდით.

ბათუმიდან მივიღე დეპეშა, ჩამოდიო. ჩავედი, დამხვდა შემაძრწუნებელი სურათი: ერთი მხრით სეიმის დელეგაცია, მეორე მხრით მუსულმანების ცალკე დელეგატები, არ დაგვტოვეთ, ჩვენ თქვენი ვართ, ევედრებოდენ სტამბოლს. სომხებს არავინ ყურს არ უგდებდა, ხოლო ქართველები მეორემეტყველობით ამიერ-კავკასიის

127

დამცველი, რასაც რეალური ფასი არ ჰქონდა. ამ წარმართ აზერბეიჯანმა გაარღვია რა ჩვენი ტერიტორიალური მთლიანობა და გადაბარგდა მტრის ბანაკში, დაინგრა სეიმის დელეგაცია, რასაც უნდა მოჰყოლოდა თვით სეიმიც. ქართველ დელეგაციამ გამართა თათბირი. მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალია: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავ-თავის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აზერბეიჯანი ახლა ოსმალეთისაკენ მიიწევდა მთელ მხარეს, რაც მას მიეშორებოდით, მხოლოდ თავის-თავს გაათრევდა. სომხები ვერ მიხვდნენ მდგომარეობას, ესიამოვნო ლაპარაკი მომივიდა ალ. ხატისოვთან. მან დამიჩემა — თუ ვილუპებით — სჯობს ერთად დავიღუპოთო! ეს იყო სასოწარკვეთილების ამოძახილი. ჩვენი აზრი მოიწონეს გერმანელებმაც და აღგვითქვეს დახმარება. ამ გადაწყვეტილებით წავიდნენ ბერლინში თავის მთავრობისათვის მოსახსენებლად.

მაშასადამე, დღის წეს-რიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი. მისი გატარება ჩვენს რევოლუციონერ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანად. ამ მიზნით დავბრუნდი თბილისში.

რაკი გადამწყვეტ როლს ყველა დიდ პოლიტიკურ მდგომარეობაში ასრულებდა თბილისის სოც.-დემ. ორგანიზაცია, პირველ-ყოვლისა მოვიწვიეთ მისი კრება ქალაქის საბჭოში. დაესწრნენ ყველა რაიონების წარმომადგენელნი, კომიტეტი სრული შემადგენლობით, ცენ. კომიტეტი, პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრები—ერთი სიტყვით მთელი მეთაურობა, სადაც შედიოდნენ ყველა ეროვნებები ქართველების გვერდით, რუსები, სომხები,

128

ოსები, მუსულმანები — ყველა. ეს იყო მართლა ინტერნაციონალური. გავაკეთე მოხსენება (დაბეჭდილია). გაიმართა დებატები, აღშფოთებულნი იყვნენ „მუსავატის" მოქმედებით, აზერბეიჯანის ღალატით და ბოლოს ერთხმათ იქნა მიღებული წარმოდგენილი რეზოლუცია. ეს მომქმედი, თავდადებული ხალხი იმავე ღამეს შეესივნენ მუშათა რაიონებს. გააცნეს რა ხდებოდა ბათუმში და ოცდაოთხ საათში მთელი მუშათა კლასი გადაიყვანეს საქართველოს ნაციონალურ რელსებზე.

დაუვიწყარია ეს კრიტიკული მომენტი. ჩვენმა პარტიამ კიდევ ერთხელ დაიჭირა ძნელი ეგზამენი. ლენინუთის სოც.-დემ. კონფერენციის გადაწყვეტილება განხორციელდა სრულიად მოულოდნელ, ტრაგიკულ პირობებში, როგორც საშუალება თავის გადარჩენისა...

რაკი ეს მთავარი ფლანგი ჩაიყარა შემდეგ მისი გატარება ადვილი იყო. სეიმის ჩვენმა ფრაქციამ ერთხმათ მიიღო; მოვიწვიე სომხები ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თავისი სიტყვით მომმართა — რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს რა დაგვრჩენია რომ არ დავადასტუროთ და მოგილოცოთ; ჩვენ უბედურებაში არ გვინდა სხვებიც ჩავითრიოთ და სხ.

ეხლა საკითხი დაისვა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ საბჭოში, რომელსაც უნდა მოემზადებინა მისი განხორციელება შემდეგ სეიმის დაშლისა. საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორე, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე,

129

მამულების კონფისკაცია და სხ. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წავიკითხე კომისიას. გვაზავას ხმა არ ამოუღია, მაზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. ალბათ ფიქრობდა — ეს საციმბირო რევოლუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაუმტყუნება, რას ვეცნობდა. ამ ნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ.

იშვა 26 მაისი.

## 26 მაისი - ზარების რეკვა

ნოე ჟორდანია, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარე, როცა 1918 წლის 26 მაისის ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს მთავრობის სასახლეში,"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს" კითხულობდა, ჩვენი ეროვნული გმირი - ვლასა მგელაძე - ავიდა მთაწმინდაზე, დარეკა ზარები და ამით ამცნო ილიასა და აკაკის, და ამასთანავე საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ, რომ საქართველო აღსდგა როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1917-1991 წლების მოვლენათა ქრონოლოგია

1917-1991 წლების ფაქტების "ქრონოლოგია" ასეთ სურათს იძლევა:

1917 წლის 27 თებერვალი – მეფის რუსეთის დამხობა.

1917 წლის 2 მარტი – დროებითი მთავრობის შექმნა პეტროგრადში გ.ლვოვის თავჯდომარეობით. მაგრამ მთავრობა შებოჭილი იყო საბჭოების კონტროლით. ასე შეიქმნა "ორ-ხელისუფლებიანობა".

1917 წლის 28 თებერვალს – აცნობეს მეფისნაცვალს კავკასიაში – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს რევოლუციის დაწყება პეტროგრადში.

1917 წლის 4 მარტს – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავისი თავი გამოაცხადა მთავრობის ერთგულად პეტროგრადში.

1917 წლის 4 მარტიდან – საქართველოს ფაქტიური მმართველი გახდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია.

------------ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა "ოზაკომი"(ოსობიი ზაკავკაზსკი კომიტეტ),რაშიც შეიყვანა სახელმწიფო სათათბიროს 4 დეპუტატი – ბ.ხარლამოვი, მ.პაპაჯანოვი (კადეტები), ნ.ჯაფაროვი (მუსავატი), კ.აბაშიძე (სოციალისტ-ფედერალისტი), რომელიც შეცვალა, ავადმყოფობის გამო, აკაკი ჩხენკელმა(სოციალ-დემოკრატი) და გამოგზავნა თბილისში.

1917 წლის 10 მარტი – თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა "ოზაკომი" არ ცნო კავკასიის დემოკრატიის გამომხატველად. ამას გარდა, "ოზაკომი" – ერთი მხრივ – და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო – მეორე მხრივ – ქმნიდა "ორ-ხელისუფლებიანობის" საშიშროებას.

1917 წლის 25 ოქტომბერი – ბოლშევიკური გადატრიალება პეტროგრადში, და ამით "დემოკრატიის გათიშვა". "ლენინმა თავის ნამესტნიკად დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა დაფრთხა და მიიმალა", წერს ნოე ჟორდანია და დასძენს:"ბოლშევიკების მუშაობამ მიიღო აშკარა ჩვენი ქვეყნის სამტრო ხასიათი".

1917 წლის 19 ნოემბერს – საქართველოს ეროვნული ყრილობა იწყებს მუშაობას.

1917 წლის 22 ნოემბერს – საქართველოს ეროვნულ ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 88 წევრი; მათგან 51 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან; 11 სოციალისტ-ფედერალისტ პარტიიდან; 10 ეროვნულ დემოკრატიული პარტიიდან; 1 რადიკალ-დემოკრატიული პარტიიდან; 2 უპარტიოებიდან და 4 "ალიონისტების" დაჯგუფებიდან.

1918 წლის 10 თებერვალს – მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი საქართველოს ხელმძღვანელი პირების ინიციატივით. შემდგა ამიერკავკასიის ფედერაციული მთავრობა, რომელშიც შედიოდა ოთხი ქართველი, 5-ი აზერბაიჯანელი და ოთხი სომეხი.

1918 წლის 9 აპრილს – გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს დაიშალა თურქეთის წინააღმდეგობისა და სომეხ-აზერბაიჯანელთა უთანხმოების გამო.

1918 წლის 26 მაისს – გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რის შემდეგ სომხეთმაც და აზერბაიჯანმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შედგენა დაევალა ნოე რამიშვილს, რომელმაც შეადგინა კოალიციური მთავრობა:

მ-766